



კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

საერთაშორისო ვაჭრობის გავლენა ეროვნული სასაქონლო  
ბაზრის განვითარებაზე

საერთაშორისო ბიზნეს მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა  
სამაგისტრო ნაშრომიში შესრულებულია საერთაშორისო ბიზნესის  
მენეჯმენტის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სტუდენტი: სანდრო გელდიაშვილი

ხელმძღვანელი: ეკ. დოქტორი,

ასოც. პროფესორი რუსუდან დალაქიშვილი

თბილისი 2020

## ანოტაცია

ნაშრომი „საერთაშორისო ვაჭრობის გავლენა ეროვნული სასაქონლო ბაზრის განვითარებაზე“ მოიცავს თაბახზე ნაბეჭდ 78 გვერდს. იგი შედგება შესავალის, სამი თავის, შვიდი ქვეთავის დასკვნის და გამოყენებული ლიტერატურისგან. ნაშრომში მნიშვნელოვანი ნაწილი უკავია კვლევას და მისი შედეგების განხილვას.

ნაშრომში განხილულია ქართულ ბაზარზე საერთაშორისო ბაზრის გავლენის შემცირების გზები. ეროვნული წარმოების განვითარებისა და ქართული პროდუქციის ექსპორტის ზრდის პერსპექტივები, აგრეთვე განხილულია საქართველოს პარტნიორი საექსპორტო ბაზრები, მათი მოთხოვნები და ღირებულებები. ის თუ როგორ პასუხობს ქართული პროდუქცია საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნებს. რა დადებითი მხარე აქვს ქართველი მეწარმეებისთვის საერთაშორისო ბაზარზე გასვლას და როგორ აისახება ეს ყველაფერი ქვეყნის ეკონომიკაზე. განხილულია რამოდენიმე საექსპორტო წარმოება რომელიც მოიპოვებს უპირატესობას მსოფლიო ბაზარზე.

როგორც ავლნიშნეთ, ნაშრომი აგრეთვე მოიცავს რესპოდენტა გამოკითხვის შედეგებს, რომელიც ჩატარდა ეროვნულ ბაზარზე საერთაშორისო ბაზრის გავლენის შესაფასებლად. არსებული თეორიული მასალის და გამოკითხულთა შედეგების ანალიზის საფუძველზე გაკეთებულია შესაბამისი დასკვნები.

## **Annotation**

The following thesis frames the development of commodity stock, which is strongly influenced by international trade.

The development of the country's commodity stock depends on several factors, out of which the most important are international trade and internal commodity trade. It is essential for any country to carry out its production planning in accordance with concurrent factors of international trade. On top of that, data obtained from observation on internal commodity factors, analyzing its positive and negative sides and steps taken accordingly, highly influence the right course of development of the country's economy. Cooperation with international organizations, whose primary goal is developing of the world's economy, is highly beneficial for internal commodity trade development. Such organizations help different countries to achieve their goals, amongst them is Georgia as well.

The main goal of the following thesis is to discuss the influence of the international trade on Georgian commodity market. Country must be able to exercise its own potential on internal market, as well as on international market. Nevertheless the fact that export is growing from year to year and its growing rate is considerable, it is needful to be able to enter external markets with own products.

The means of reduction of the international market's influence on the internal market, as well as the perspectives of development of national production and the ways of increasing export are discussed in the thesis. Additionally, the partner export markets of Georgia, their requirements and values, and how Georgian products meet that requirements are also discussed in the thesis. The thesis gives information on the positive aspects provided by entering international markets for Georgian entrepreneurs and its influence on the country's economy. There are discussed several products for export purposes which can possibly gain advantage on the world market.

## შინაარსი

შესავალი

თავი 1. საგარეო ვაჭრობის მნიშვნელობა

1.1 საგარეო ვაჭრობის წარმოშობის ტენდენციები

1.2 საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების ასპექტები

თავი 2. ეროვნული სასაქონლო ბაზრის განვითარების ტენდენციები

2.1 სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები

2.2 საქართველოს სასაქონლო ვაჭრობა

თავი 3. საქართველოს საექსპორტო პოტენციალი

3.1 საქართველოს კონკურენტუნარიანობა საერთაშორისო ბაზრებზე

3.2 საექსპორტო პოტენციალი და პრობლემები

3.3 საქართველოს პარტნიორი საექსპორტო ქვეყნები

კვლევა

დასკვნა

გამოყენებული ლიტერატურა

## შესავალი

**თემის აქტუალურობა.** სამაგისტრო ნაშრომში წარმოდგენილი თემა გამოირჩევა აქტუალობით, რადგან იგი ეხება ქვეყნის სასაქონლო ბაზრის განვითარებას, რაზეც უდიდეს გავლენას ახდენს საერთაშორისო ვაჭრობა.

ქვეყნის სასაქონლო ბაზრის განვითარება, რამოდენიმე ფაქტორზეა დამოკიდებული. მათგან უმნიშვნელოვანესია: საერთაშორისო ვაჭრობა, შიდა სასაქონლო ვაჭრობა და სხვა. აუცილებელია, რომ საერთაშორისო ვაჭრობაზე დაკვირვებით ქვეყანამ განახორციელოს სასაქონლო წარმოების დაგეგმა, გარდა ამისა, ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე ზეგავლენას ახდენს შიდა სასაქონლო დაკვირვების შედეგად გაკეთებული შეფასება, პროდუქციის დადებითი და უარყოფითი მხარეების გამოვლენა, მათი შესწავლა და შესაბამისი რეაგირების მოხდენა, ეროვნულ სასაქონლო ბაზრის განვითარებაზე მნიშვნელოვანია საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა, რომელთა მიზანია მსოფლიო ეკონომიკის განვითარება.

**ნაშრომის ძირითად მიზანს** წარმოადგენს იმის განხილვა, თუ რა გავლენას ახდენს საერთაშორისო ვაჭრობა ქართულ სასაქონლო ბაზარზე. ქვეყანამ უნდა მოახერხოს საკუთარი პოტენციალის გამოვლენა, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ბაზარზე მიუხედავად იმისა, რომ ქართული ექსპორტი ყოველწლიურად იზდება და შესამჩნევია მისი განვითარების ტენდენცია, აუცილებელია მოხერხდეს ახალი სასაქონლო ჯგუფებით გასვლა გარე ბაზარზე.

**კვლევის საგანი და ობიექტი.** სამაგისტრო ნაშრომის საგანს წარმოადგენს ეროვნული სასაქონლო ბაზრის განვითარებაზე მოქმედი საერთაშორისო ვაჭრობის ძირითადი ასპექტების თეორიული, მეთოდოლოგიური და პრაქტიკული საკითხების ერთობლიობა. კვლევის ობიექტია ზოგადად ქართული სასაქონლო ბაზარი და მასზე მოქმედი შიდა და გარე ფაქტორები.

კაცობრიობის ისტორია უხსოვარი დროიდან იწყება, მის შესახებ არ არსებობს ცნობა წყარო ან რაიმე ჩანაწერი, მხოლოდ უძველესი ნახატები, გამოქვაბულის კედლებზე საიდანაც ვიგებთ მათ შესახებ. ადამიანის უპირველეს საქმიანობას წარმოდგენდა: ნადირობა და შემგროვებლობა. არცთუ ისე დიდი ხნის შემდეგ ადამიანებმა ძალით დაიწყეს ერთმანეთზე შეგროვებული თუ ნანადირევის პროდუქტის წართმევა. ამავდროულად ადამიანი მიხვდა, რომ მიწის დამუშავება უფრო ეფექტიანი იქნებოდა და მეტ ადამიანს გამოკვებავდა ვიდრე შეგროვების მეშვეობით. რაც შეეხება ნადირობას იგი ისევ რჩებოდა ადამიანის ძირითად საქმიანობად. სწორედ ამ პროცესში ადამიანმა შექმნა გუნდი ვინაიდან ნადირობა ბევრად მარტივი ეფექტური და სარფიანი საქმე გამხდარიყო.

ეკონომიკა ძველი ბერძნული სიტყვაა რაც საოჯახო მეურნეობის მართვას ნიშნავს. თუმცა თანამედროვე ეპოქაში მას საკმაოდ ფართო მნიშვნელობა აქვს. სიტყვა ეკონომიკის გაგებაზე შესაძლებელია მხოლოდ რიცხვები გაგვახსენდეს, თუმცა ეკონომიკა ასახავს ყველაფერს რაც შეეხება ორ ან მეტ სუბიექტს შორის საქმიან ურთიერთობას, გაცვლას და სხვა აქტივობებს. ქვეყნების არსებობის ისტორიაში ძლიერი ეკონომიკის ქონა დადებით ეფექტს ახდენდა. მათთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე იყო ძლიერი ეკონომიკა, რომლის მეშვეობითაც ხორციელდებოდა სხვადასხვა იმფრასტრუქტურული პროექტები, ხდებოდა ძლიერი საფორტიპიკაციო ნაგებობების აშენება, ვითარდებოდა სხვადასხვა დარგები როგორებიცაა: სამეცნიერო, სამედიცინი, სამშენებლო, სამრეწველო, სასოფლო სამეურნეო დარგები და სხვა. ასევე ქვეყნებს შორის თანდათანობით ვითარდებოდა ვაჭრობის კულტურა, რის შედეგადაც მეტად იზრდებოდა ასეთი ქვეყნების ეკონომიკა. დროთა განმავლობაში დაარსდა საკუთარი ქალაქები რომლებშიც უდიდესი სასაქონლო ტვირთბრუნვა ხდებოდა. ტვირთების გადასატანად ადამიანი ყოველთვის დიდ შრომას სწევდა, ძირითადათ ტვირთების გადაზიდვა საწყის ეტაპზე ხმელეთზე ხდებოდა, ხოლო გადაზიდვის მეორე გზად სამდინარო და საზღვაო გზები იქცა, რომლის მეშვეობითაც გაიზარდა ვაჭრობის არეალი. ვაჭრობის არეალის ზრდამ

გამოიწვია ზოგიერთი დარგის განვითარება მაგ: სატრანსპორტო და საბანკო საქმიანობები რომელთა განვითარება დადებითად აისახა ვაჭრობაზე.

ეკონომიკის ჩამოყალიბება და განვითარება უხსოვარი დროიდან მცირე სამრეწველო და სამეურნეო საქმიანობით იწყება, საწყის ეტაპზე მხოლოდ ადამიანების მცირე ჯგუფებს ეხებოდათ. ეკონომიკის მაშტაბების ზრდა დაიწყო ადამიანების რაოდენობრივ ზრდასთან და განვითარებასთან ერთად. მცირე ჯგუფების ეკონომიკის ზრდა-განვითარებას ხელს უწყობდა მომავალში ტომების, ქალაქების, ქვეყნების ჩამოყალიბება და განვითარება. ამ პროცესების შედეგად საკმაოდ ბევრი საქმიანობის ახალი სახეობა ჩამოყალიბდა და ძველი საქმიანობის ფორმების დახვეწა დაიწყო. მოიშინაურეს სხვადასხვა ცხოველი და ფრინველი, დაიწყეს მათი მომრავლება და საკვებ პროდუქტებად გამოყენება, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტი რომ ადამიანი აქტიურად იყენებდა შინაურ ცხოველებს როგორც გადაადგილების საშვალებათ ასევე ტვირთის გადასატანად, მიწათმოქმედებისათვის და საბრძოლო მოქმედებებში. ამ პროცესებიდან გამომდინარე ადამიანმა ცხოველების გამოყენება დაიწყო ეკონომიკური საქმიანობის გასაუმჯობესებლად. ამ და სხვა პროცესებიდან გამომდინარე ქვეყნებს შორის გარღმავდა სავაჭრო ურთიერთობები რითაც საერთაშორისო ეკონომიკის მშენებლობას ჩაეყარა საფუძველი. ქვეყნები აღარ კმაყოფილდებოდნენ მეზობელ ქვეყნებთან ვაჭრობით რის გამოც ისინი ზრდიდნენ თავიანთ სავაჭრო არეალს და ხშირ შემთხვევაში გადიოდნენ კონტინენტის გარეთ სავაჭრო ურთიერთობების გასარღმავებლად, მაგ აბრეშუმის გზის მეშვეობით. ვაჭრობის არეალის ზრდასთან ერთად ქვეყნებს სჭირდებოდათ ახალი სავაჭრო მარშუტები მოკავშირე ქვეყნებთან დასაკავშირებლად რამაც გამოიწვია დიდი გეოგრაფიული აღმოჩენა. რასაც მოყვა ახალი მიწების აღმოჩენა და საწყის ეტაპებზე მათი კოლონიებად ქცევა, საიდანაც კოლონიზატორი ქვეყნები მცირედი დანახარჯებით იღებდნენ უდიდეს მოგებას. შემდგომში ამ კოლონიებმა შეძლეს და მოიპოვეს დამოუკიდებლობა რის შედეგადაც მსოფლიო ეკონომიკაში გაჩნდნენ ახალი ეკონომიკური მოთამაშეები. საერთაშორისო ეკონომიკის ისტორიაში ბევრი

ეკონომიკური კრიზისი ყოფილა, საიდანაც თავის დასაღწევად ადამიანი აწესებდა სხვადასხვა სახის რეგულაციებს, რის შედეგადაც ეკონომიკა სხვადასხვა განვითარების ეტაპებზე გადადიოდა და ყოველთვის იზრდებოდა და იზდებოდა ეკონომიკის როლი კაცობრიობის ისტორიაში.



# თავი 1. საგარეო ვაჭრობის მნიშვნელობა

## 1.1 საგარეო ვაჭრობის წარმოშობის ტენდენციები

მსოფლიო ეკონომიკის ჩამოყალიბება იწყება უძველესი დროიდან, რომელსაც რამოდენიმე ფაქტორი უდევს საფუძვლად. ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესად მიიჩნევა ვაჭრობის ჩამოყალიბება, ალბათ ყველას გაგვიგია სიტყვა ვაჭრობა, რომლის მნიშვნელობაც ყველამ ვიცით. ვაჭრობა ეს არის ორ სუბიექტს შორის დადებული შეთანხმება რაიმე პროდუქციის სანაცვლოდ შესაბამისი ფასის გადახდაზე. ვაჭრობის წარმოება ხდება ორ ან მეტ მხარეს შორის, მათთვის საჭირო პროდუქციის გაცვლის ან გაყიდვის თაობაზე. ვაჭრობის მონაწილე ორივე მხარე მყიდველიც და გამყიდველიც საჭირო პროდუქციას იღებენ შესაბამის ფასად, რომელსაც არეგულირებს ბაზარი. ამ პროცესის ორივე მხარე იღებს სარგებელს. მსოფლიოში ეს პროცესი უხსოვარი დროიდან იწყება, რაზეც მეტყველებს აზიაში, ძველი ინდოეთის აქტიური ურთიერთობები ძველ ჩინეთთან. ვაჭრობის განვითარებამ პროდუქციის გაცვლისა და ეკონომიკის აღორძინების გარდა კიდევ ბევრი დადებითი მოვლენა ახლავს. როგორცაა: სახმელეთო და საზღვაო ტრანსპორტის განვითარება. სახმელეთო გზების მოწესრიგება, საზღვაო გზების და მარშრუტების შესწავლა. ძველ ინდოეთსა და ჩინეთს შორის სავაჭრო პროდუქციას წარმოადგენდა: სპილოს ძვალი, მარილი, წიწკა, მარგალიტი, ფერადი ლითონი, ღვინო, ასევე ვაჭრობდნენ მონებით. ჩინური სახელმწიფოები ერთმანეთთან ვაჭრობდნენ: პირუტყვით, ტყავებით და აბრეშუმით. აღსანიშნავია ასევე ის ფაქტი რომ ქვეყნები ასრულებდნენ სატრანზიტო დერეფნების როლს, რაც საერთაშორისო ვაჭრობის თვალსაჩინო მაგალითი იყო.

საგარეო ვაჭრობა რომელიც ამავდროულად საერთაშორისო ვაჭრობის საწყისადაც მიიჩნევა ჯერ კიდევ ჩვენ წელთაღრიცხვამდე იწყებს არსებობას. უძველესი დროიდან კაცობრიობის ურთიერთობის ძირითად ფორმას წარმოადგენს ომი და ვაჭრობა. ვაჭრობის საწინდარი იყო ადამიანების მიერ ჩამოყალიბებული ეკონომიკური

საქმიანობების ტიპები: მესაქონლეობა, მიწათმოქმედება, მრეწველობა და სხვა. კონტინენტები თავის მხრივ უპირატესობას ანიჭებდნენ ეკონომიკური საქმიანობის სხვადასხვა ტიპებს. აზიური ეკონომიკისთვის დამახასიათებელი იყო მიწათმოქმედება და მეცხოველეობა. ევროპული ეკონომიკა კი უპირატესობას ანიჭებდა სამრეწველო საქმიანობას, რომელიც რკინის დამუშავების ტექნოლოგიას ეუფლებოდა. რკინის მრეწველობის დაუფლება ხდებოდა იმ დროინდელ ევროპულ ქალაქებში. რამდენიმე ევროპულ ქალაქს შორის როგორებიცაა: ათენი და სხვა მოხსენიებულია ქართული ქალაქები: დიოსკურია (იგივე სოხუმი), ფაზისი (ფოთი) რომლებიც ხელოსნური წარმოების ცენტრებს წარმოადგენდნენ. იქიდან გამომდინარე რომ ქვეყნები აწარმოებდნენ განსხვავებული სახის პროდუქციას საჭირო გახდა ამ პროდუქციის ერთმანეთში გაცვლა, მუშახელისა და ნედლეულის მოპოვება. სწორედ ამ პროცესებს მოჰყვა საერთაშორისო ვაჭრობის ჩამოყალიბება. ქვეყნებს შორის ვაჭრობის შედეგად წარმოიქმნა საჭიროება ვაჭრობის მაშტაბები გაზრდილიყო. ვაჭრობის მაშტაბების გაზრდამ განაპირობა კონტინენტებს შორის ვაჭრობა რითაც საერთაშორისო ეკონომიკის როლი გამოიკვეთა კაცობრიობის ისტორიაში.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ პირველად საბაჟო პუნქტები გამოჩნდა ჩინეთის სამეფოებში, საბაჟოებზე ტვირთის გატარების დროს მოვაჭრეებს უწევდათ ბაჟის გადახდა, რომელიც შედიოდა სახელმწიფო ხაზინაში. ვაჭრობის განვითარებასთან ერთდ გამოჩნდნენ ადამიანთა ჯგუფები რომლებიც სასესხო საქმიანობას ეწეოდნენ, რასაც მევახშეობას ეწოდნენ. ისინი საკმაოდ დიდ პროცენტს იღებდნენ გასესხებული თანხის სანაცვლოდ. სასესხო კაპიტალის დაგროვების შედეგად წარმოიქმნა სამევახშეო კანტორები, რომლებიც თანამედროვე ბანკების წინამორბედებად შეიძლება მივიჩნიოთ.

შუასაუკუნეების დასაწყისიდან ქვეყნებს შორის ვაჭრობა გადაიზარდა კონტინენტებს შორის ვაჭრობაში, რომელშიც უფროდაუფრო მეტი ქვეყანა ერთვებოდა როგორებიც იყვნენ: ჩინეთი, ინდოეთი, ეგვიპტე, არაბეთი, სამხრეთაფრიკა, იტალია და სხვა. საკმაოდ მალე გამოიკვეთა ისეთი პროდუქტები

რომლებსაც ყიდულობდნენ ან ყიდიდნენ ქვეყნები. ხმელთაშუაზღვის სანაპირო აუზებიდან გაჰქონდათ: ზეთისხილი, ზეთი, ღვინო, სპილენძი, მალმარილო, კერამიკა, შალი, ხელოსნური ნაწარმი, ხოლო შემოჰქონდათ: პარფიუმერია, ფაიფური, მინა, ბრინჯი, სანელებლები და სხვა. აქ ცალსახათ გამოკვეთა საერთაშორისო ვაჭრობის დადებითი მხარეები და ქვეყნების მიერ საკუთარი წარმოების განვითარებისა და დახვეწის სურვილი, რადგან კონკურენცია ყოველდღიურად იზღებოდა, ამ ფაქტს სასიცოცხლო მნიშვნელობა ქონდა პროდუქციის არსებობისთვის.

ადამიანები ყოველთვის ინტერესდებოდნენ ახალი მიწების აღმოჩენით, ახალი ტერიტორიების შესწავლით, სხვადასხვა ნედლეულის მოპოვებით, დამუშავებით და შემდეგ უკვე ამ პროდუქტებიდან სარგებლის ნახვით. ამ და სხვა მიზეზების გამო ხდებოდა ახალი აღმოჩენების გაკეთება, ეძებდნენ და იკვლევდნენ ახალ მიწებს რის შედეგადაც საკმაოდ ბევრი გეოგრაფიული აღმოჩენა მოხდა. ამის შესახებ საუკუნეების განმავლობაში ვარაუდები არსებობდა. სწორედ ამ აღმოჩენების შედეგად გეოგრაფიული არეალი საკმაოდ გაიზარდა, რამაც განაპირობა საყოველთაო ვაჭრობის გაზრდა. სწორედ ამ პროცესებმა დააჩქარა ახალი საქონლის და პროდუქციის ვაჭრობის საგნებად ჩამოყალიბება. მაგალითად ისეთი ლითონები როგორებიც იყო; ოქრო და ვერცხლი. მათი მოპოვება ვაჭრობაში საკმაოდ სარფიან საქმედ ითვლებოდა. გარდა ამისა ბაზარზე გამოჩნდა ახალი ნედლეული როგორებიცაა: კაკაო, შაქარი, ყავა და თამბაქო, რომელიც მე-16 საუკუნეში ახალი მიწების და სავაჭრო სივრცეების აღმოჩენის შედეგად გამოჩნდა. ამ პროდუქტებით მომარაგება ხდებოდა კოლონიებიდან საიდანაც თითქმის უსასყიდლოდ იღებდნენ კოლონიზატორი ქვეყნები. რომელთაც კონტინენტები დაარსეს ამერიკის კონტინენტზე რის გამოც ამ ქვეყნების მოგება საკმაოდ გაიზარდა და მოწინავე იმპერიებად ჩამოყალიბდნენ ვინაიდან იძულებით ხდებოდა იმპერიების მომარაგება საჭირო და ძვირფას ნედლეულით.

ქვეყნების განვითარებამ და გაძლიერებამ გამოიწვია ეკონომიკის გაძლიერება რამაც გამოიწვია ინდუსტრიალური ცივილიზაციის განვითარება, რომელიც მე - 17

საუკუნეში გაძლიერდა ევროპაში. ევროპულ ქვეყნებში გამოიკვეთა მოწინავე ქვეყნები რომელთა შორიც ინგლისი უდაოდ ლიდერ პოზიციას იკავებდა. ასევე ბევრი ევროპული ქალაქი მალევე გადაიქცა მსოფლიო წამყვან სავაჭრო და საკრედიტო ცენტრად, რომლის მეშვეობითაც თამამდ შეგვიძლია ვთქვათ რომ მსოფლიოს ეკონომიკური ამინდი. იქმნებოდა სწორედ ამ ქვეყნებისა და ქალაქების მიერ. ამ პერიოდში იწყებენ ქვეყნები სხვადასხვა ეკონომიკური რეგულაციების დაწესება, რადგან იაფად ნაწარმოებ პროდუქციას არ ჩაეძირა ადგილობრივი პროდუქცია და არ შეწყვეტილიყო ადგილობრივი წარმოება.რაც გამოწვეული იყო იმით რომ ქვეყნები სპეციალიზდებოდნენ კონკრეტული პროდუქციის წარმოებაში და ასევე მაშტაბის ეკონომიის წყალობით ქმნიდნენ კონკურენტ უნარიან პროდუქტს, რომლის შეტანაც სხვა ქვეყანაში ადგილობრივ პროდუქციას კონკურენციას უწევდა სწორედ მძაფრი კონკურენციის გამო დაწესდა საბაჟო გადასახადი ზოგიერთ ქვეყანაში. სხვა ქვეყნებთან შედარებით ინგლისის მრეწველობა დაწინაურდა. მრეწველობის შეუფერხებლად წინსვლისთვის სწორედ ინგლისი იყო პირველი ქვეყანა რომელმაც, თავისუფალი ვაჭრობის ინიციატივა წამოაყენა, რაც გულისხმობს შემდეგს, საექსპორტო საიმპორტო გადასახადების მშემცირებით მისი პროდუქციის უპირატესობა იზდება და სხვა ქვეყნებთან შედარებით მისი პროდუქცია მეტი იქნებოდა გაყიდვაში რის მეშვეობითაც ინგლისის ეკონომიკა კიდევ უფრო გაძლიერდა და სწორედ ამ ხელშეკრულების წყალობით ინგლისმა წამყვანი პოზიცია დაიკავა. ვაჭრობაში საკრედიტო ურთიერთობებში, საზღვაო ტრანსპორტს და რაც მთავარია მრეწველობაში, პირდაპირ აისახა ინგლისის ეკონომიკის გაძლიერებაზე, აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს ფაქტი რომელიც არა ერთხელ დაამტკიცა დრომ. ქვეყანა რომელიც რაიმე საქონლის წარმოებასა და რეალიზაციაში უპირატესობას აღწევს იგი ყოველთვის ამ სფეროში თავისუფლებას ითხოვს, რათა აუცილებლად გამყაროს საკუთარი უპირატესობა. ინგლისი უდაოდ ლიდერი იყო ეკონომიკაში, თუმცა სხვა ქვეყნები არ ფიქრობდნენ უკან დახევას და მაქსიმალურად ცდილობდნენ საკუთარი ეკონომიკის გაძლიერებას და წინსვლიშთვის ხელის შეწყობას, სწორედ

ასეთ ქვეყანა იყო ამერიკა, რომლის ეკონომიკა ძირითადად შემოსასვალს ნედლეულის გაყიდვით და აგრალური პროდიქტის რეალიზაცია შეადგენდა სწორედ ამიტომ ქვეყანა ვერ იღებდა რაც მის ეკონომიკას სჭირდებოდა, საჭირო იყო ეკონომიკის განვითარებისთვის ახალი ბიძგი, რაც საერთაშორისო კაპიტალის იმპორტით მოხდებოდა. ქვეყანაში დაიწყო აქტიური საერთაშორისო კაპიტალის მოპოვების შედეგად. ამერიკაში მოხდა ქარხნებისა და საწარმოების მშენებლობის პროცესის დაწყება რამაც ინდუსტრიულ განვითარებას ხელი შეუწყო, დაიწყო ქვეყანაში ინდუსტრიული წარმოებაამის შედეგად ქვეყანაში წარმოიქმნა პროდუქცია რომელიცრომელიც ყოვლდღიურად იხვეწებოდა. ამერიკა მე - 20 საუკუნის დასაწყისში ინდუსტრიაში წამყვანი სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა. ამ დროისთვის საკმაოდ კარგი პოზიცია დაიკავა ინდუსტრიულ წარმოებაში, რაც მსოფლო ეკონომიის ასპარეზე ძლიერი ეკონომიკური ქვეყნის გამოჩენას უყრის საფუძველს.

გარდა ამისა აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ მსოფლიო მაშტაბით საკმაოდ დიდი ტექნოლოგიური განვითარება მოხდა მეურნეობის დარგში, რაც საკმაოდ დადებითად აისახა რიგ საკითხებში, რაც მთავარია ქვეყნები ეკონომიკების გაძლიერებამ გამოიწვია საერთაშორისო ეკონომიკის გაძლიერება.ეს ფაქტი დადებითად მეტყველებს ეკონომიკის მდგომარეობაზე.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენამ, კოლონიების დაშლამ, ახალი ქვეყნების დამოუკიდებელ ცხოვრებას ჩაუყარა საფუძველი. რის შედეგადაც ქვეყნებს შორის ზოგიერთი პროცესი დაჩქარდა, მაგალითისთვის კოლონიზატორი ქვეყნები ადრე თითქმის უფასოდ იღებდნენ სხვადასხვა სახის ნედლეულს და სიმდიდრეს, ამით საკმაოდ დიდ მოგებას ნახულობდნენ მათ ეკონომიკას ახლა ამ პროდუქციის შესაძენად როგორც მინიმუმ თანხის გადახდა უწევდა ან აუცილებელი იყო ამ პროდუქციის მოყვანა დამუშავება მუშა ხელის დაქირავება, ამ ყველაფერზე საჭირო იქნებოდა მუშახელის დაქირავებაც. ტრანსპორტირებისთვის საკმაოდ დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული, თუ მოხდებოდა ამ პროდუქციის შეძენისთვის ან მოყვანისთვის საჭირო ხარჯების გაწევა, ეს ფინანსური რესურსი აუცილებლად

აისახებოდა ქვეყნის ეკონომიკაზე, რადგან ფინანსური დაფუნანსება შეუმცირებოდა ან შეუწყდებოდა. სხვადასხვა სფეროები რაც მნიშვნელოვან ზარალს მიაყენებს მას ეს პოცესი აისახება ქვეყანაში არსებულ ეკონომიკურ მდგომარეობაზე. ადვილად მისახვედრია თუ როგორ გადაინაცვლა სხვადასხვა წარმოებამ ახალ ქვეყნებში სადაც ნედლეულის სიმცირეს არ განიცდიდნენ, სწორედ ამიტომ მსოფლიო ბაზარზე ახალი მოთამაშეები ჩნდებიან, რის შედეგადაც მოხდა საერთაშორისო ეკონომიკის გაზდა ასევე მთელ სოფლიოში იზდება დამოუკიდებელი ქვეყნების რაოდენობა, რომელიც 1900 წელს 55 ქვეყანას შეადგენდა ხოლო მათი რიცხვი საუკუნის შემდეგ 190 მდე გაიზარ რაც საკმაოდ დიდ მნიშვნელობას ახდენდა ეკონომიკის განვითარების პროცესზე, ვინაიდან დამოუკიდებელი ქვეყნების ნაკლებობა შედარებით არ ქმნის კონკურენტულ გარემოს და ეკონომიკაც ნაკლებად ვითარდება ვიდრე მაღალი კონკურენციის პირობებში

სწორედ ამ მოვლენების ნაბიჯ-ნაბიჯ გავლის შედეგად ხდებოდა საერთაშორისო ეკონომიკის განვითარება, სადაც ყველა ქვეყანას საკუთარი წვლილი მიუძღვის. გარდა ამისა, ფაქტები, რომლებიც ეკონომიკის განვითარებას უწყობს ხელს, დადებითად აისახება, როგორც თვითონ ამ საქმიანობის განვითარებასა და ჩამოყალიბებაზე, ასევე საერთაშორისო ეკონომიკის ჩამოყალიბებასა და განვითარებაზე.

## **1.2 საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების ასპექტები**

საერთაშორისო ეკონომიკის განვითარებას ცივილიზაციის განვითარებასთან ერთად იწყება. საერთაშორისო ეკონომიკი სგანვითარებამ, არსებობის ისტორიაში, დიდი გზა განვლო, რომელიც შესაძლებელია ახლა მარტივად გვეჩვენება, თუმცა არუნდა დაგვავიწყდეს ის გამოწვევები, რომელიც საერთაშორისო ეკონომიკის განვითარების წინაშეიდგა. გასათვალისწინებელია აგრეთვე პობლემები, რომლებმაც დროებით, თუმცა მაინც შეაფერხეს ეკონომიკის განვითარება. ასეთ პრობლემებს განეკუთვნება ომები სხვადასხვა დროს. მათშორის აუცილებლად უნდააღინიშნოს

პირველი და მეორე მსოფლიო ომი, რადგან დიდი იყო როგორც მისი მასშტაბი, ასევე მსხვერპლი.

მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაში მნიშვნელოვანი იყო სხვადასხვა საქმიანობების როლი, როგორებიცაა: მიწათმოქმედება, შემგროვებლობა, ნადირობა, ხელოსნობა და ვაჭრობა. ეკონომიკის განვითარებასთან ერთად, საქმიანობის სხვადასხვა სფეროები ვითარდებოდა და იხვეწებოდა, აგრეთვე იზდებოდა მათი მასშტაბები. განვითარება სწრაფი ტემპებით დაიწყო სავაჭრო საქმიანობამ, რომელიც თავდაპირველად ქალაქებში, შემდგომში ქვეყნებს შორის, ხოლო ამჟამად კონტინენტებს შორისაც მიმდინარეობს. ასეთ ვაჭრობის ფორმას საერთაშორისო ვაჭრობა ეწოდება. იგი საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის ერთ-ერთი უძველესი და გავცელებულ ფორმად მიიჩნევა, რომელზეც მსოფლიო ეკონომიკური ბრუნვის 80% მოდის.

საერთაშორისო ვაჭრობა საერთაშორისო ეკონომიკის ერთ-ერთი უძველესი საქმიანობაა. საერთაშორისო ვაჭრობა ეს არის ქვეყნებს შორის საქონელბრუნვის ერთობლივი მოცულობა, რომელიც არ უნდა აგვერიოს საგარეო ვაჭრობაში. საგარეო ვაჭრობაა, რის ერთი ქვეყნის მიერ მეორე ქვეყანასთან ექსპორტ იმპორტის მოცულობის რეალიზება.

საერთაშორისო ვაჭრობა მრავალფეროვნებით გამოირჩევა, მისი ობიექტებია: მატერიალური ნივთები (ნედლეული, მანქანა-მოწყობილობები, მზაპროდუქცია); მომსახურება(სატრანსპორტო, ტურისტული, საფინანსო-საკრედიტოდასხვა.) ; ინტელექტუალურისაკუთრება(სავაჭროდასაპატენტოუფლებები). თითოეული მათგანი ერთ ზოგად საქონლის ცნებაში ერთიანდება. საერთაშორისო ვაჭრობაში მნიშვნელოვანი სტრუქტურული ძვრებიხდება, რაც გამოიხატება სასაქონლო ნომეკლატურისა და საქონლის გავრცელების მასშტაბების ზრდაში. მსოფლიოში მთლიანი შიდა პროდუქტის ზდას თან ახლავს ვაჭრობის ზდის ტემპი. მაგალითად: 2000 წლიდან 2013 წლამდე მშპ დაახლოებით 2.4 - ჯერ გაიზარდა და შეადგინა 74,3 ტრილიონი აშშ დოლარი, ხოლო საქონელბრუნვა დაახლოებით 3,3 - ჯერ გაიზარდა

და შეადგინა 23,4 ტრილიონი აშშ დოლარი. ეკონომიკური გარიგების საწარმოებლად ადამიანებს ესაჭიროებათ ადგილი და გარემო, რასაც ბაზარი ქმნის. ბაზრის ფორმებია: შიდაბაზარი - ესარისბაზრისისეთისახე, სადაც ქვეყანაში წარმოებული პროდუქცია იყიდება. ეროვნული ბაზარი-ეწოდება ისეთ ბაზარს, რომლის მცირე ნაწილიც უცხოელ მყიდველზეა ორიენტირებული. საერთაშორისო ბაზარი ეს არის ბაზრის სადაც ეროვნული ბაზრის ნაწილი უშუალოდ უცხოურთანაა დაკავშირებული. მსოფლიო ბაზარი არის ქვეყნებს შორის სასაქონლო ფულადი ურთიერთობების, შრომის საერთო დანაწილებასა და წარმოების ფაქტორების გადაადგილებაზეა დამოკიდებული. საერთაშორისო ვაჭრობა ორი სასაქონლო ნაკადისგან შედგება : ექსპორტი და იმპორტი. ექსპორტი ეწოდება ქვეყანაში ქვეყანაში წარმოებული საქონლის გასაყიდად საზღვარგარეთ გატანას. იმპორტი ეს არის, ქვეყნის გარეთ წარმოებული საქონლის ქვეყანაში გასაყიდად შემოტანა. ექსპორტისადა იმპორტის ბრუნვის ჯამს, საგარეო ვაჭრობის ბრუნვა ეწოდება. პროდუქცია მაშინ ითვლება საერთაშორისო ვაჭრობის მონაწილედ, როდესაც ის გადაკვეთს სახელმწიფო საბაჟო საზღვარს. საგარეო ვაჭრობა უძველესი დროიდან იწყებს განვითარებას. იგი ბაბილონსა და ასურეთში მიმდინარეობდა, სადაც ტანსაცმელს, სურსათს, სანელებლებსა და ზეთუნის ზეთს ცვლიდნენ ერთმანეთში. გაცვლისას რესურსების და რეგიონები თანდათანობით გაფართოვდა. ჩინელი ვაჭრები აბრეშუმს ევროპაში ყიდიდნენ, შედეგად აბრეშუმის გზები ჩამოყალიბდა. სწორედ ვაჭრობის განვითარებას ემსახურებოდა დაპყრობითი ომები. ძვ. საბერძნეთის და ძველი რომის იმპერიის აღმასვლა, გარკვეულწილად, ამ ფაქტორებმა განაპირობა. ქალაქები, რომლებიც ძლიერდებოდნენ მათი კონკურენტები ხდებოდნენ. ამის მაგალითად შეიძლება მივიჩნიოთ კართაგენი, რომელიც გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე საკმაოდ დიდ კონკურენციას უწევდა რომის იმპერიას, რადგან ევროპელი ვაჭრები სწორედ იქ საქმიანობდნენ. ამიტომ რომი გამუდმებით ებრძოდა კართაგენს, რათა უპირატესობა მოეპოვებინა და ძველი წელთაღრიცხვით 146 წელს გაანადგურა კიდეც, ქალაქი დაანგრის, გადაწვეს და მიწას მარილი მოაყარეს, რადგან



ძველი მეტოქის გაძლიერება შეუძლებელი ყოფილიყო. ამ მოვლენების შემდეგ, რამოდენიმე საუკუნის განმავლობაში და განსაკუთრებით შუასაუკუნეებში ვაჭრობის ცენტრი იტალია გახდა. 1453 წელს ბიზანტიის იმპერია დაეცა. თურქ-ოსმალებმა აიღეს ახლო აღმოსავლეთზე კონტროლი, სავაჭრო გზები ჩაიკეტა. ევროპამ ახალი საზღვაო გზების ძიება დაიწყო. ესპანეთის მხარდაჭერით, დიდი გენუელი ზღავაოსანი ქრისტეფორე კოლუმბი დასავლეთისაკენ ახალი სავაჭრო გზების საძიებლად წავიდა. ამ დროს აღმოაჩინა ახალი მიწები, რომელიც საკმაოდ მდიდარი იყო ნედლეულითა და შრომითი რესურსებით. ჩამოყალიბდნენ კოლონიები, რომელთაც დროთა განმავლობაში დამოუკიდებლობა მოიპოვეს და კოლონიალიზმი იმპერიალიზმით შეიცვალა. გაიზარდა უცხოური ინვესტიციების მოცულობა, რის შედეგადაც დაიწყო წარმოება ყოფილმა კოლონიებმა. მე - 20 საუკუნეში ორთქლის ძრავის გამოგონება საუკუნის აღმოჩენა იყო. ამან საგრძობლად გაადვილა და გააიაფა ტვირთების მოძრაობა, რის შედეგადაც კომპანიები გადაიქცნენ გიგანტურ კორპორაციებად. სწორედ ასეთი გზებით მიმდინარეობდა საერთაშორისო ვაჭრობის განვითარება.

ვაჭრობის განვითარებაზე მოქმედი ფაქტორებია:

- მეცნიერულ ტექნოლოგიური პროგრესის დაჩქარება;
- საერთაშორისო ვაჭრობის ლიბერალიზაცია;
- ახალი თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნა;
- სავაჭრო ეკონომიკური ინტეგრაციის გაზრდა;
- „ახალი ინდუსტრიული ქვეყნების“ საქმიანობის გააქტიურება.<sup>1</sup>

საერთაშორისო ვაჭრობა მსოფლიოს განვითარებასთან ერთად ყალიბდება. იგი ისევე ვითარდება, როგორც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნები, ვინაიდან საერთაშორისო ვაჭრობას აწვითარებენ ქვეყნები, რომლებიც აწხორციელებენ საერთაშორისო ვაჭრობას. ბოლო ათწლეულების მანძილზე ქვეყნები აწარმოებენ და ყიდნიან უფრო მეტ პროდუქციას, ვიდრე უწინ. ასევე გაიზარდა მათ მიერ

---

<sup>1</sup> ჯოლია გ. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები, თბილისი 2015 .გვ. 88

მოხმარებული პროდუქციის მოცულობაც. აქედან გამომდინარე, საერთაშორისო ვაჭრობაში წამყვანი პოზიციები განვითარებულ ქვეყნებს უკავიათ. მსოფლიო ვაჭრობის მაღალი ტემპით განვითარებასთან ერთად, საერთაშორისო ვაჭრობას პრობლემები დათავისებურებებიც ახლავს. მსოფლო ვაჭრობის განვითარების შედეგად, სასაქონლო ვაჭრობამ მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში გადაინაცვლა. განვითარებული ქვეყნების მიერ სასაქონლო ნედლეულის ექსპორტის განხორციელებამ მსოფლიოს სავაჭრო პოლიტიკა გარკვეული პრობლემების წინაშე დააყენა. მაგალითად : განვითარებადი ქვეყნები მოითხოვდნენ ნედლეულსა და მასალებზე ფასების ზდას, რადგან განვითარებული ქვეყნები მათგან ნედლეულს იაფად ყიდულობენ, მხოლო მზაპროდუქტს მაღალ ფასად ყიდიდნენ. სავაჭრო უთანხმოება განვითარებულ ქვეყნებსშორის. ეს გამოწვეულია იქიდან, რომ განვითარებული ქვეყნები აწარმოებენ თითქმის ერთმანეთის მსგავს პროდუქციას, როგორცაა: ავტომობილები, ტელევიზორები, კომპიუტერები, საყოფაცხოვრებო, სამეურნეო, საკვები პროდუქტები და სხვა. წარმოების პროცესში ერთიქვეყნის და წინაურება იწვევს მეორე ქვეყნის პროდუქციის რეალიზაციის შემცირებას. ამის თვალსაჩინო მაგალითია ამერიკა, ამერიკაში იაპონური საავტომობილო პროდუქტის ფართომედწევა, რომელმაც სამამულო წარმოების მოცულობა შეამცირა. ახალი ინდუსტრიული ქვეყნის პროდუქციის ექსპორტი. ასეთი ქვეყნები მაღალი ხარისხის პროდუქციას ამზადებდნენ და განვითარებულ ქვეყნებში ყიდიან. აღნიშნული ფაქტი განვითარებული ქვეყნების უკმაყოფილებას იწვევს, რადგან ამ ქვეყნებში მსგავსი პროდუქციი სადგილობრივი წარმოება განვითარებას წყვეტს ან საერთოდ ჩერდება. განვითარებული ქვეყნები მიიჩნევენ რომ მათ მრავალი ეკონომიკური დაბრკოლება ხვდებათ. ისინი წარმოადგენენ საერთაშორისო ორგანიზაციებს და მსოფლიო ეკონომიკის წესრიგის დამყარებას მოითხოვენ. საერთაშორისო ვაჭრობის მნიშვნელოვანი თავისებურებაა ის, თუ საიდან მიდის საწარმოში ნედლეული, ქვეყნის შიგნიდან თუ გარედან. როდესაც ნედლეული საწარმოს მიეწოდება ქვეყნის შიგნიდან მისი ტრანსპორტირება ბევრად ადვილია და დროში არ იწელება. ეს კი წარმოების

თვის მნიშვნელოვანია, როგორც ფინანსური, ასევე დროის თვალსაზრისით .გარდა ამისა, თუ საწარმოო საქონელი სხვა ქვეყნიდან შემოდის, ამ საქონელის შესაძენად საჭიროა საკუთარი ვალუტის კონვერტაცია სხვა ქვეყნის ვალუტაზე, რაც უარყოფითად აისახება ქვეყნის სავალუტო სისტემაზე. სასურველია მოხერხდეს საწარმოო ნედლეულის ქვეყანაში შეძენა, რადგან ამ დროს ეროვნული ვალუტა ქვეყნის გარეთ არ გაედინება. საერთაშორისო ვაჭრობის განვითარება მრავალი საუკუნის განმავლობაში მიმდინარეობდა. ადამიანები მუდმივად ცდილობდნენ გაეუმჯობესებინათ საერთაშორისო ვაჭრობა. საჭირო გახდა მოეფიქრებინათ საერთაშორისო ვაჭრობის რეგულირების მექანიზმი. ამას ვერ უზრუნველყოფდა ერთი რომელიმე კონკრეტული ქვეყანა. ამიტომ ფიქრი დაიწყო ისეთ ორგანიზაციის შექმნაზე, სადაც ყველა შემავალი ქვეყანა შეეძლებოდა საკუთარი აზრის დაფიქსირებას. სწორედ ამ მიზნით შეიქმნა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია. რომელიც საერთაშორისო სავაჭრო სისტემას აწესრიგებდა 1948 – 1994 წლებში. 1994 წლიდან ამ ორგანიზაციამ საბაჟო გადასახადების საშუალო დონე მნიშვნელოვნად შეამცირა, ამის შედეგად ქვეყნებს შორის სავაჭრო ურთიერთობები მნიშვნელოვნად განვითარდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საბაჟო ტარიფების შემცირებაზე მუშაობა ორგანიზაციამ 1947 წლიდან ანუ დაარსებიდან დაიწყო და ეტაპობრივად მიმდინარეობდა. 1994 წლამდე საბაჟო გადასახადი დაახლოებით ათჯერ შემცირდა. ამავე წელს შეიქმნა ვაჭრობის საერთაშორისო ორგანიზაციის შტაბ-ბინა, რომელიც მდებარეობს ჟენევაში. ამ ორგანიზაციის ძირითად მიზანს ყველა მეწარმისათვის კეთილსინდისიერი პირობების დაერთიანი ბაზრის შექმნა წარმოადგენს. ორგანიზაცია ცდილობს ტარიფების შემცირებას და ზოგშემთხვევაში საერთოდ მოხსნას.

ვაჭრობის საერთაშორისო ორგანიზაციის ძირითად პინციპებს წარმოადგენს :

- ვაჭრობა დისკრიმინაციის გარეშე;
- ბაზრების საგარეო ვაჭრობების განვითარება;
- კეთილსინდისიერი კონკურენციის წახალისება;
- დავების გადაწყვეტა;

- არასატარიფო მეთოდების გამოყენება შიდა ბაზრების დასაცავად.

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ფარგლებში საკმაოდ დიდი ძალიხმევა იხარჯება მომსახურებით ვაჭრობაზე, ინტელექტის საკუთრების უფლებების დაცვასა და ვაჭრობის განვითარებაზე. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს აგრეთვე კანონმდებლობასთან მაღალი ხარისხით სამსახური. ორგანიზაციაში გაწევრიანება შეუძლია როგორც სახელმწიფოს, ასევე ავტონომიურ ტერიტორიებს. ორგანიზაციაში ყველა ქვეყანას ერთი ხმა აქვს. ორგანიზაციიდან თავისუფალი გამოსვლის უფლება აქვს წევრ სახელმწიფოს. გარდა ამისა ორგანიზაციიდან გარიცხვის უფლება გათვალისწინებული არ არის.

სავაჭრო ორგანიზაციას უწევს კონკრეტული საკითხების გადაჭრა დარეგულირება. რეგულირების მეთოდი ორი სახისაა:

- ორმხრივი რეგულირები სმეთოდი, რასაც ორი მხარე არეგულირებს ;
- მრავალ მხრივი რეგულირების მეთოდი, როდესაც დარეგულირებაში ორი მხარე ზემეტი იღებს მონაწილეობას.

სწორედ მრავალმხრივი რეგულირების მეთოდით გააქტიურდა საერთაშორისო ვაჭრობა მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში. სამართლებრივი თავისებურების მხრივ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია უნიკალურია. იგი ფაქტიურა დმსოფლიო ვაჭრობის სამინისტროს წარმოადგენს. მას საკუთარი სასამართლო აქვს, რომლის მექანიზმიც უნიკალურია. სწორედ ამ სამართლის მეთოდებით ადგენენ წესებს შეთანხმების ნორმების ერთობლიობაზე. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცი ისსამართალი გამოდის საერთაშორისო სამართლის უნიკალური მოდელი ეკონომიკურ საქმიანობაში. ამორგანიზაციის სამართლის ობიექტია შიდა სახელმწიფოებრივი სამართლის კანონები, რომელიც საერთაშორისო ვაჭრობას ეხება. იგი სამართლებრივ მიზნად ისახავს საქონლის გადაადგილებისას არსებული ბარიერებისა და შეზღუდვების შემცირებას დასაერთოდ გაუქმებას. სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისგან განსხვავებით, გადაწყვეტილებას იღებენ კვალიფიციური უმრავლესობის პრინციპით.

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია სამართლის სამ პრინციპს ეყდნობა, ესენია:

- არა დისკრიმინაციის პრინციპი;
- ეროვნული რეჟიმის მინიჭები სპრინციპი;
- უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი.

საერთაშორისო ვაჭრობის პალატა შეიქმნა 1920 წელს და წარმოადგენს კაპიტალური ქვეყნების უმაღლესი საქმიანობის წრეების ორგანიზაციათა გაერთიანებას. მისი მიზანია ქვეყნებს შორის ეკონომიკური კავშირის განვითარება. საერთაშორისო სამართლებრივი რეგულირების დროს გამოიყენება სხვადასხვა სამართლებრივი სისტემების ნორმები, რომლებიც დადებითად ასახავენ სავაჭრო რეგულირების ფორმებს, რომელთა დამსახურებით საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობები ყოველდღიურად ვითარდება და იხვეწება. საერთაშორისო სამართალს აქვს სამართლებრივი პრინციპები, რომელთა მეშვეობითაც რეგულირდება საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობები. სახელმწიფოებს აქვთ როგორც უფლებები, ასევე მოვალეობები რომელთა დაცვა მოეთხოვება ყველა წევრ ქვეყანას. მათი უფლებებია მიიღონ მონაწილეობა საერთაშორისო ვაჭრობაში, საიდანაც შეუძლიათ მიიღონ საკმაოდ დიდი მოგება, ასევე საერთაშორისო პრობლემებისგა დაწყვეტაში დააფიქსირონ საკუთარი პოზიცია, აგრეთვე შეუძლიათ გააფორმონ სხვადასხვა საერთაშორისო ხელშეკრულებები. რაც შეეხება მათ ვალდებულებებს, ყველა ქვეყანა ვალდებულია განავითაროს საერთაშორისო ვაჭრობა, უზრუნველყოს კომუნიკაცია საერთაშორისო ვაჭრობის მონაწილე ქვეყნებთან, განამტკიცოს სავაჭრო ურთიერთობები.

არსებობს საგარეო ვაჭრობის სატარიფო და არასატარიფო რეგულირება. იგი მოიცავს:

- ლიბერალიზაციას ანუ სატარიფო განაკვეთების შემცირებას. ამ პოლიტიკას ატარებენ ისეთი ქვეყნები, რომელთა უპირატესობაც იკვეთება წარმოებაში, რათა მათ იმ პროდუქტთა შეუფერხებლად შევიდეს სხვადასხვა ქვეყნის ბაზრებზე.

პროტექციონისზმს, რომელიც მაქსიმალურად ცდილობს საბაჟო გადასახადების აწევას. ეს ის შემთხვევაა, როდესაც ქვეყანაში წარმოებული პროდუქცია კონკურენციას ვერ უწევს ქვეყნის გარეთ წარმოებულს. ასეთ დროს სამამულო წარმოება საფრთხის ქვეშაა და მისი განვითარებაც შეუძლებელია თუ არიქნება საბაჟო ხელშეწყობა.

გლობალიზაციის პირობებში, საბაჟო - სატარიფო რეგულაციების დამყარება გულისხმობს საბაჟო გადასახადების შემცირებას ან მის სრულ ლიკვიდაციას. ამ ყოველივეს შედეგად ქვეყნებს შორის საქონელბრუნვა გაიზდება. მნიშვნელოვანია აგრეთვე სახელმწიფოების მიერ საბაჟო გადასახადების გაზდა, რადგან არ მოხდეს ქვეყანაში უცხოური პროდუქციის მასობრივი შემოდინება. ამის შედეგად ადგილობრივ წარმოებას ეძლევა დამატებით წახალისება, რათა კონკურენცია გაუწიოს უცხოურპროდუქციას - მოიპოვოს ადგილობრიუვ, ეროვნულ ბაზარსა და შემდგომ საერთაშორისო ბაზარზე, ხარისხის მაღალი მაჩვენებლითა და კონკურენტული ფასების უპირატესობით.

ტვირთების ქვეყანაში შემოტანა ან მის ფარგლებს გარეთ გატანა ხორციელდება საბაჟო გამშვები პუნქტის მეშვეობით. შესაძლებელია სწორედ გამშვებ პუნქტზე მოხდეს ტვირთბრუნვის შეფერხება სხვადასხვა ბუნებრივი ან ხელოვნური მიზეზების გამო. ასეთ მიზეზს შესაძლოა წარმოადგენდეს სხვადასხვა აუცილებელი დოკუმენტაციის არქონა, პროდუქციის უნვებლობის პრობლემა და სხვა. დღეისათვის საერთაშორისო ვაჭრობას 600 - მდე სახეობის დოკუმენტი ემსახურება, რაც ზოგჯერ პრობლემას ქმნის ტვირთების შეუფერხებლად გადაადგილების პროცესში. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საერთაშორისო ვაჭრობა საერთაშორისო ეკონომიკისერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგია, რომლისგან ვითარებასაც კაცობრიობა დიდი ხანია ცდილობს. იქმნება სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციები. სწორედ ამორგანიზაციების დაკვირვებით ხდება გარკვეული რეგულაციების, კანონების მიღება, შეთანხმებების დადება, აგრეთვე საგადასახადო პოლიტიკის შემსუბუქებაზე მუშაობა. თუმცა არსებობს ხელისშემშლელი ფაქტორები, რომლებსაც ზოგიერთი

ქვეყანა საკუთარი ეკონომიკის გასაძლიერებლად და ზოგიერთ შემთხვევაში გადასარჩენად იყენებს.

საერთაშორისო ვაჭრობა მიუხედავად მრავალი ხელისშემშლელი ფაქტორისა დღემდე არ წყვეტს წინსვლას, თუმცა იყო მიზეზები რის გამოც მოხდა მისი განვითარების შენელება და ზოგჯერთითქმის გაჩერებაც კი. ასეთი იყო მსოფლიო ომები და მასშტაბური სამხედრო მოქმედებები, რომელიც პირდაპირ თუ ირიბად შეეხო ყველა ქვეყანას. თუმცა შესაძლებელია ითქვას, რომ ზოგიერთზე დადებითი გავლენაც კი მოახდინა. აგრეთვე იყო რამოდენიმე ეკონომიკური კრიზისიც, რამაც აჩვენა რომ მსოფლიო ეკონომიკა ჩიხში შევიდა იმ კურსის გამო, რაც იმ დროინდელ მსოფლიოში იყო ეკონომიკური მიმართულებით არჩეული. უარყოფითი გავლენა მოახდინა აგრეთვე ისეთმა გლობალურმა პრობლემამ, რომელიც არუკავშირდება მსოფლიო ეკონომიკის განვითარებას. ეს მიზეზია ვირუსი, რომელზეც თამამად შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიოს არსებობის ისტორიაში ყველაზე დიდი ეკონომიკური პაუზა გამოიწვია. საკმაოდ ბევრი მიმართულებით. რომელთაგან აღსანიშნავია ნავთობპროდუქტების ფასები, შიდა და გარეტურიზმი, სადაც ქვეყნებმა ასობით მილიონი დოლარის ზარალი მიიღეს.

მსოფლიო ეკონომიკა და საერთაშორისო ვაჭრობა ყოველთვის ეძებს ახალ გზებს, რათა თავი გაართვასმის წინაშე მდგარ დაბრკოლებებს, რომელიც მის განვითარებას და წინსვლას ხელს უშლის. სწორედ ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ არ არსებობს ეკონომიკისთვის დაბკოლება რისი გადალახვაც ძალაც მას არ შესწევს. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკის წინსვლის შეჩერება შეუძლებელია და ამის ერთ-ერთი მიზეზი საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებაა.

## თავი 2. ეროვნული სასაქონლო ბაზრის განვითარების

### ტენდენციები

#### 2.1 საქართველოს სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები

მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ისტორია მრავალ საუკუნეს ითვლის, ეკონომიკის საქმიანობაში ერთიანდება მრავალი საქმიანობის ტიპი: მესაქონლეობა, მიწათმოქმედება, მწარმოებლობა, თუმცა უნდა აღინიშნოს მათგან მნიშვნელოვანია ვაჭრობა და მისი გლობალური სახე რომელსაც საერთაშორისო ვაჭრობასაც უწოდებენ, საერთაშორისო ვაჭრობა საკმაოდ განვითარებულია მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, რის შედეგადაც, მომხმარებელს ამერიკაში შეუძლია მაღასაზიში მისთვის სასურველი პროდუქცია მისი გემოვნებით რომელიც არ ეკუთვნის ეროვნულ წარმოებას. საქართველოში ნაწარმოები პროდუქცია ნებისმიერ დროს შეუძლია შეიძინოს სხვა ქვეყანაში სადაც ხდება ქართული პროდუქციის მაგალითად ღვინის იმპორტირება. საერთაშორისო ვაჭრობაში არის წარმოდგენილი საქართველო, საქართველოს საკმაოდ ბევრი პროდუქტი აქვს რომელიც გადის ქვეყნის გარეთ. მათქან აღსანიშნავია ქართული ღვინო რომელსაც მსოფლიო აღიარებს ასევე ფართო ასორტიმენტი მინერალურ და გამაგრილებელი სასმელების და სხვა პროდუქცია.

მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვის საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებას, საერთაშორისო ვაჭრობის განვითარება კი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების მიერ საერთაშორისო ვაჭრობაში მონაწილეობაა, რომლის შემადგენელ ნაწილსაც წარმოადგენს საქართველოც, საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებისთვის აუცილებელია ქვეყნები რომელთანაც მოხდება სხვადასხვა პროდუქციით ვაჭრობა საქართველოც არის ამ პროცესში ჩართული, და შესაბამისად საქართველოს ყავს უამრავი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები, და სწორეთ მათან



ახორციელებს სხვადასხვა სავაჭრო ურთიერთობებს რის შედეგადაც ქართული მხარე პარტნიორ ქვეყნებთან ერთად აქვს როგორც მიწოდების ასევე გასაღების ბაზრეები,

